დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

შორენა ძამუკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო შუბლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნონა ხომასურიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ღოღობერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ვლადიმერ უშიკიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226526159

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი დიდი ლილო: არჩილ მეფის ქ. N 5
საფოსტო ინდექსი	0190
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi217@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება MES 5 26 0000376079, 30/03/2026 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ და*

	გრძანება MES 2 26 0000389892, 01/04/2026 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის №376079 გრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	*30 აპრილი და 1 მაისი, 2026წ.*

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი დიდი ლილო: არჩილ მეფის ქ. N 5, 1 (ერთი) შენობა*
2	*ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საბაზო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი დიდი ლილო: არჩილ მეფის ქ. N 5, 1 (ერთი) შენობა*
3	*ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი დიდი ლილო: არჩილ მეფის ქ. N 5, (ერთი) შენობა*

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანებების MES 5 26 0000376079, 30/03/2026 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ და MES 2 26 0000389892, 01/04/2026 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №217 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 30 მარტის №376079 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საფუძველზე, მიმდინარე წლის 30 აპრილს და 1 მაისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ-ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუირების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის მიმდინარეობისას ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ გადაეგზავნათ საგნობრივ ექსპერტებს.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 500	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

შენიშვნა: სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლამ წერილით MES 9 26 0000586584, 18.05.2026წ. მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ითხოვა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდა **600** მოსწავლემდე.

ექსპერტები სკოლის შენობის დათვალიერებისას დარწმუნდნენ, რომ ზემოაღნიშნული რაოდენობისთვის შესაბამისი საკლასო ოთახები და მატერიალური რესურსი დაწესებულებას გააჩნია.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 12.02.2027წ.*
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში:* • *სკოლის ღობის მთლიანობის აღდგენა- არაუგვიანეს 31.08.2026წ.* • *სკოლის ეზოში განთავსებული ჯართის ჩამოწერის პროცედურების განხორციელება - არაუგვიანეს 31.07.2026წ.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		• *სკოლის ეზოში განთავსებულია სამი მცირე ზომის შენობის ჩამოწერი პროცედურები - არაუგვიანეს 31.08.2026წ.* • *შენობის მე-2 და მე-3 სართულზე ელ. გაყვანილობის აღდგენა - არაუგვიანეს 30.08.2026წ.*
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის - დამონტაჟდეს ლიფტი ან პანდუსი სკოლის შიდა სივრცეში გადასაადგილებლად, შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 23.02.2027წ.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდის, გამწოვი კარადის და წყალგაყვანილობის მოწყობ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 31.08.2026წ.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდის, გამწოვი კარადის და წყალგაყვანილობის მოწყობ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 31.08.2026წ.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	• *ვინაიდან სათვალთვალო კამერები ვერ აკონტროლებენ კიბის უჯრედებს, სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს სკოლის მთელი პერიმეტრის აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო სისტემით.* • *სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.*
ინდიკატორი N3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დასაქმება დაწესებულებაში.*
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება*	*სკოლის ეზოში არსებული ექსპლოატაციიდან გამოსული აუზი, არ არის ღრმ თუმცა, ამცირებს გარემოს ესთეტიკურ იერსახეს და აფერხებს სკოლის ეზოს*

	დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას	*ფუნქციურ გამოყენებას - სასურველია განხორციელდეს მისი დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია/ადაპტირება, რათა გაუმჯობესდეს ეზოს ვიზუალური და პრაქტიკული დანიშნულება,* *2 (ორი) საკლასო ოთახში განთავსებული ჩამოსაწერი მერხები იკავებენ სასარგებლო ფართს, ხელს უშლიან სივრცის ეფექტიან გამოყენებას - აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება მოწესრიგებული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს სტანდარტებს - სასურველია განხორციელდეს მათი ჩამოწერა.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*სასურველია, სკოლის ბიბლიოთეკა განახლდეს მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხური)	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკასა და ხელოვნებაში პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.* ***სახელმწიფო ენა*** *- (I-V კლასები) საკითხი და დავალების იდეა ერთ გრაფაშია მოცემული. სასურველია, საკითხი ისე იყოს, როგორცაა, სახელდებითი წინადადებით მოცემული, ხოლო დავალების იდეა დავალების პირობას წარმოადგენდეს და აქტიური ზმნებით დაიწეროს. მაგ. საკითხი: საყვარელი თამაშის წესების გაცნობა. დავალების იდეა/პირობა- გაიხსენე, რაზე დაგაფიქრა მოსმენილმა ტექსტმა, რა ყოფილა გასათვალისწინებელი თამაშის სწავლების დროს. გააცანი შენი საყვარელი თამაშის წესები შენს თანატოლებს, რომ მათაც შეძლონ სწორად თამაში. შეგიძლია შენი*

		საყვარელი თამაში დახატო ფერადი ფანქრებით ან ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ და ისე წარუდგინო კლასელებს. სასურველია, გრაფას ერქვას ტექსტები და კონტექსტმაგალითები, რადგანაც რეალურად კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ტექსტები, ასევე დამატებითებიც რომლებიც მუშავდება თემაში. 1-ელი კლასის კურიკულუმს ახლავს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკაც. ***მათემატიკა*** *- სასურველია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ ყველა კურიკულუმს მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ. სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა). მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოთი.* ***ტექნოლოგიები*** *- კურიკულუმის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გამოკვეთონ საგნის მიმართულებები და თითოეულ თემაში დააკონკრეტონ ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, ფრაგმენტული აქტივობების ნაცვლად გამოიყენონ ერთიანი, პროექტზე ორიენტირებული დავალებები, სადაც მოსწავლე ქმნის კონკრეტულ პროდუქტს. ასევე, გაამრავალფეროვნონ რესურსები და მეტი ყურადღება დაუთმონ პრაქტიკულ, ინტეგრირებულ აქტივობებს, რომლებიც ავითარებს პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *-საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნობრივი კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილია პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კურიკულუმის ყველა კომპონენტის (თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, შედეგი, რესურსი, შემოქმედებითი დავალება) შორის ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ თემაში თანმიმდევრულად იყოს*

		წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, ხოლო შემოქმედებითი დავალებების იდეებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი. ამასთან, სასურველია, სხვა პედაგოგების მიერ გაზიარებული კურიკულუმები ადაპტირდეს სკოლის კონტექსტის შესაბამისად და მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, განსაკუთრებით საგანში „ჩვენი საქართველო“ (VI კლასი). ***ესთეტიკური აღზრდა*** *- ორივე საგანში კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა. ხელოვნების კურიკულუმებში მიუთიტეთ თემატური ბლოკები.* ***მათემატიკა*** *- პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III კლასის კურიკულუმი. კერძოდ, მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები.* *სასურველია, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში ზუსტად იყოს დატანილი ინფორმაცია. კერძოდ VI კლასის მათემატიკის კურიკულუმში დაკორექტირდეს „ძირითადი კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამისი სვეტები. სასურველია, მკაფიოდ ჩანდეს რა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელება უწევთ მოსწავლეებს.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია, 2 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მიეთითოს ინტერნეტ რესურსების შემოწმებული ბმულები.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია ხელოვნების კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე თავადაც შექმნათ ვიზუალური სახალისო თუ შემოქმედებითი რესურსები.* ***მათემატიკა*** *- მასწავლებელს მიეცა რჩევა კურიკულუმებში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი.*
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები. (მაგალითად დავალების პირობაში).*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, საგან „მე და საზოგადოებაშ შემუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებ საფუძველზე, შერჩეულ თემებთან, საკითხებთან ან/და ქვესაკითხებთ მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასებ რუბრიკები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრ მკაფიო შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და გააძლიერე მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიზნობრივ მონიტორინგს.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***მათემატიკა*** *- სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა*** *- მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა*

		საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში. *ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.* *გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება (ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკებ და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე.*
ინდიკატორი N2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირებს შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფიდ ექსპერტი*** *- ცალკეული კათედრები რადგან ამუშავებენ ვერიფიკაციის საკითხებს, სკოლას აქვს სხვადასხვა დოკუმენტშიც გაბნეული შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობასთან დაკავშირებით საკითხები, კარგი იქნება სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის სახით.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- სასურველია 8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში კონკრეტულად იყოს გაწერილი შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტი.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია მუსიკასა და ხელოვნებაში პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.* ***სახელმწიფო ენა*** *მე-7 კლ.* *სასურველია, კურიკულუმი შედგებოდეს შემდეგი გრაფებისაგან: თემა, ცნება, საკითხი, ტექტსები და და კონტექსტმაგალითები, დავალების იდეა (პირობა), რესურსები. შემოქმედებითი ბუნების დავალებაში სასურველია, პირობის ყველა ნაწილი ერთმანეთის თანხვედრაში იყოს, ასევე მკაფიოდ ჩანდეს ნაბიჯები.* *მე-8 კლ.* *სასურველია, დავალების გრაფაში ჩაიწეროს ის, რაც წერია საკითხების გრაფაში; კონტექსტმაგალითების გრაფას ერქვას-ტექსტები და კონტექსტმაგალითები; დავალების პირობა დაიწეროს სრულად და მკაფიოდ (მაგ. არგუმენტირებული ესე რის შესახებ); სასურველია, შემოქმედებითი ბუნების დავალებები უფრო მეტი მუშავდებოდეს კლასში.* *მე-9 კლ.* *სასურველია, დავალების გრაფაში ჩაიწეროს ის, რაც წერია საკითხების გრაფაში; კონტექსტმაგალითების გრაფას ერქვას-ტექსტები და კონტექსტმაგალითები; დავალების პირობა დაიწეროს სრულად და მკაფიოდ (მაგ. არგუმენტირებული ესე რის შესახებ);* ***მათემატიკა*** *- სასურველია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ ყველა კურიკულუმს მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული*

		სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ. სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა). *მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოთი.* ***სპორტი** - სასურველია საშუალო საფეხურზე გაითვალისწინონ IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო და შესაბამისად შეავსონ გრაფები.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია ფიზიკის 9 კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების ასახვა* ***ესთეტიკური აღზრდა** - ორივე საგანში კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.* *ხელოვნების კურიკულუმებში მიუთიტეთ თემატური ბლოკები.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასურველია, 8 კლასის ბიოლოგიასა და 9 კლასის ფიზიკის კურიკულუმებში, მიეთითოს ინტერნეტ რესურსების შემოწმებული ბმულები.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში,, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია ხელოვნების კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე თავადაც შექმნათ ვიზუალური სახალისო თუ შემოქმედებითი რესურსები .* ***მათემატიკა*** *- სასურველია, მათემატიკის IX კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.* *მასწავლებელს მიეცა რჩევა კურიკულუმებში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი.*
ინდიკატორი N N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში).*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- მიზანშეწონილია საგან „გეოგრაფიასა“ და კათედრაზე შემავალ სხვა საგნებში დიაგნოსტიკური შეფასების პროცესში ეტაპობრივად გაძლიერდეს დავალებების დიფერენცირება საზრავნო დონეების მიხედვით, რათა თანაბრად იყოს წარმოდგენილი როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ისე ანალიზისა და შეფასების ამოცანები. ამასთან, სასურველია თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული კითხვები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული შესაბამის ინდიკატორებთან, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს მოსწავლის მიღწევების ზუსტ და სისტემურ შეფასებას. წარმოდგენილ ტესტის ანალიზში ჩასწორდეს სამიზნე ცნება ,,გეოგრაფიული მდებაროება.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა* ***თითოეული თემის*** *ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან*

		მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით . ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში აისახოს მოსწავლის შედეგები ცნებებთან მიმართებით, სრულად დაეფუძნოს სტანდარტის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს (იქნება ეს დისკუსია, პრეზენტაცია, ესე თუ სხვ.)* ***სპორტი*** *- სასურველია შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *- სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა*** *- მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში.* *ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე*

		ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. *გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება (ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკები და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე.*
ინდიკატორი N2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფიდ ექსპერტი*** *- ცალკეული კათედრები რადგან ამუშავებენ ვერიფიკაციის საკითხებს, სკოლას აქვს სხვადასხვა დოკუმენტშიც გაბნეული შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობასთან დაკავშირებით საკითხები, კარგი იქნება სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის სახით.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, მუსიკასა და ხელოვნებაში პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.* ***სახელმწიფო ენა*** *მე-10 კლ.* *საკითხებისა და დავალების პირობის გრაფა ფაქტობრივად იდენტურია. საკითხების გრაფაში დავალების დასახელება ჩაიწეროს სახელდებითი*

		წინადადებით (მაგ. ზეპირი გამოსვლა თემაზე „ქართული მწერლობის განვითარების გზა“); ხოლო დავალების პირობაში ისე-როგორც ვავალებთ მოსწავლეს (მაგ. ამასა და ამაზე დაყრდნობით ... მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „ქართული მწერლობის განვითარების გზა“); დავალების იდეის გრაფაში არაა საჭირო კრიტერიუმების ჩამოწერა. ***მათემატიკა*** *- მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოთი.*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში„ გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.* ***მათემატიკა*** *- სასურველია, მათემატიკის X კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. მასწავლებელს მიეცა რჩევა კურიკულუმებში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- მიზანშეწონილია საგან „გეოგრაფიასა“ და კათედრაზე შემავალ სხვა საგნებში დიაგნოსტიკური შეფასების პროცესში ეტაპობრივად გაძლიერდეს დავალებების დიფერენცირება საზრდოვნო დონეების მიხედვით, რათა თანაბრად იყოს წარმოდგენილი როგორც*

		ფაქტობრივი ცოდნის, ისე ანალიზისა და შეფასების ამოცანები. ამასთან, სასურველია თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული კითხვები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული შესაბამის ინდიკატორებთან, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს მოსწავლის მიღწევების ზუსტ და სისტემურ შეფასებას. წარმოდგენილ ტესტის ანალიზში ჩასწორდეს სამიზნე ცნება ,,გეოგრაფიული მდებაროება. ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა* ***თითოეული თემის*** *ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით* ***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში აისახოს მოსწავლის შედეგები ცნებებთან მიმართებით, სრულად დაეფუძნოს სტანდარტის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს (იქნება ეს დისკუსია, პრეზენტაცია, ესე თუ სხვ.)* ***სპორტი*** *- სასურველია შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***მათემატიკა*** *- სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა.*

ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *- სასურველია, რომ მათემატიკის X კლასის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გაზრებულად შერჩევის კულტურას.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***მათემატიკა*** *- მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში.* *ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ.* *გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება (ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკები და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე.*
ინდიკატორი N2.2.1.4	*სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *- ცალკეული კათედრები რადგან ამუშავებენ ვერიფიკაციის საკითხებს, სკოლას აქვს სხვადასხვა დოკუმენტშიც გაბნეული შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობასთან დაკავშირებით საკითხები, კარგი*

		იქნება სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის სახით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რიგ ინდიკატორებთან დაკავშირებით.

კერძოდ, ინდიკატორები 2.2.2.3 და 3.5.1.1., რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. ასევე, ,,მეტწილად შესაბამისად,, შეფასებული 3.4.1.1 და 3.5.1.4 ინდიკატორებთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმა წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის მომზადებამდე.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლის გათვალისწინებითაც უარყოფითად შეფასებული ინდიკატორები 1.2.2.3, 3.1.2.3, 3.4.1.2, 3.6.3.5, 4.1.2.2, 4.1.2.3, 2.1.2.5, 4.2.4.1 , 2.2.1.3. - შეფასდა სრული შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს („ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის N4261-XIVმს-Xმპ, 12/06/2024 დადგენილება). შემუშავებული მისიით დაწესებულება გეგმავს ეფექტური სასწავლო-აღმზრდელობითი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას, მათი შესაძლებლობების, ინტერესების შესაბამისად. უზრუნველყოფს საჭიროების უწვეტ განვითარებას და მიღებული ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტში გამოყენებას. სკოლის ხედვაც, მკაფიოდ ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მთავარ პრინციპს - უზრუნველყოს მოსწავლეთა აღჭურვა 21 საუკუნის კომპეტენციებით, თანამედროვე მიდგომებითა და ეროვნულ-ტრადიციული აღზრდის მეთოდებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არსებული მისიით და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცის ფორმირებაში. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლისთვისაც შეიქმნა დაწესებულება და უზრუნველყოფს უსაფრთხო, პოზიტიური, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, სიახლეებზე და განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავება განხორციელდა 2023 წელს. კერძოდ, დაწესებულებას სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-82, 11/09/2023წ. შექმნილი ჰყავს სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი. ექსპერტებმა განიხილეს სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმი (N1, 05.09.2023წ.), საიდანაც ირკვევა, რომ სკოლის ფილოსოფიის პროექტის ფორმირება განხორციელდა საზოგადოების ჩართულობით. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ გამოყენებული კითხვარები და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც საბოლოოდ აისახა მისიაში, ხევდვაში და ღირებულებებში. ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრა სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რომელთაც დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ექსპერტებს ჩატარებული სამუშაოების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში და შესაბამისად, მათი თანამონაწილეობა ადასტურებს გაზიარების პროცედურებს. გარდა ამისა, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში (,,სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-83, 11.09.2023წ.), გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები და პროცედურები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის შესასვლელში, ფოიეში ფილოსოფია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა ,,სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა“. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-82, 11/09/2023წ. შექმნილი სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-83, 11.09.2023წ.;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმი (N1, 05.09.2023წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი შემუშავებული იქნა 2023 წელს (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-83, 11.09.2023წ.) და აღწერს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესს. სტრატეგიული გეგმის ფორმირებას წინ უძღოდა SWOT ანალიზი, რომელიც შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და გამოკითხვის შედეგები (საქმეშია კითხვარების ნიმუშები სკოლის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის) აისახა სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები) დამტკიცებულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N02 სხდომაზე. სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და სკოლის ფილოსოფიას შორის იკვეთება მკაფიო კორელაცია. კერძოდ, სკოლის შვიდივე სტრატეგიული მიმართულება: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება ასახავს სკოლის ფილოსოფიის მთავარ გზავნილებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ერთწლიან (2025-2026 წლები) სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული

ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. კერძოდ, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს (დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი) და დარწმუნდნენ, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა როგორც წინარე გამოცდილება, ასევე სკოლის სტრატეგიული მიზნები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წლები) ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-83, 11.09.2023წ.);
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები);
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N02 სხდომის ოქმი;
- სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ერთწლიანი (2025-2026 წლები) სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 თავი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. დოკუმენტის დანართი N1 ადგენს მოიტორინგის სიხშირეს და ფორმას. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 სამოქმედო გეგმის ანგარიში სწორედ დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმით განხორციელდა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ვინაიდან, მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ყოველი 3 წლის ბოლოს, სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშის წარმოდგენა უნდა განხორციელდეა 2026 წლის ბოლოს და შესაბამისად, ვიზიტის ეტაპზე შესაბამისი პერიოდი არ იყო დამდგარი. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის ანგარიშს (2024-2025 სასწავლო წლები), ექსპერტებმა განიხილეს დოკუმენტი, სადაც თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდეგნილია მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მინიჭებული აქვს სამიდან ერთი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შესრულების ანგარიშში, შენიშვნის გრაფა ეთმობა იმ წყაროს მითითებას (სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი დოკუმენტაცია, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები), რომელთაც უზრუნველყვეს აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

<u>სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა დაწესებულება ვერ უზრუნველყო - სკოლის ვებ-გვერდზე და/ან საინფორმაციო დაფაზე არ არის წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.</u> არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა ვებ. გვერდის ბმული სკოლების პორტალზე, საიდანაც ირკვევა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლამ ატვირთა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი. ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, ამ ეტაპზე აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები რამდენად გამოყენებულია სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან შეფასების პერიოდი არ იყო დამდგარი. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს, ექსპერტებმა განიხილეს სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, ასევე, სკოლის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა და დარწმუნდნენ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობები შედგენილია წინ წლის შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, როგორც ირკვევა, ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით წინა სასწავლო წელს რამოდენიმე ამოცამა არ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა. და შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებებით საქმიანობის ვალდებულება განსაზღვრა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმამ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-83, 11.09.2023წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი.
- სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ერთწლიანი (2025-2026 წლები) სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად. თანამდებობრივი ინსტრუქციები წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. დაწესებულებამ წარმოადგინა სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობების იერარქიას და დაქვემდებარების შესახებ ინფორმაციას. ასევე, საშტატო განრიგი, სადაც მითითებულია სკოლაში დასაქმებული პირების თანამდებობები და საშტატო ერთეულების რაოდენობა. კერძოდ, სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე,

ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი (3), დამლაგებელი (3), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (6); სულ პედაგოგიური პერსონალი - 39.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიო და დეტალურია - შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელთა ხელშეკრულებებიც მოიცავენ ინფორმაციას მათი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აცნობიერებენ, როგორ აისახება მათი საქმიანობა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი ოქმები, საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 4.02.2026 წლის N2-102 ბრძანებით დამტკიცებული კათედრის დებულება;

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 4-02-2026 წლის N2-103 ბრძანებით დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის მიერ შედგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძანება N2-115, 16.02.2026წ.). სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. კერძოდ, შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა. შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ -ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებს. სკოლას შედგენილი აქვს თანამშრომელთა/სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები (მათ შორის, პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის). შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები - სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს როგორც სკოლაში დასაქმებული პირების უფლებამოვალეობებს, ასევე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოსN174/ნ ბრძანებით დამტკიცებული" მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად შეიცავდა კანონით დადგენილ ცნობებს.
<u>სკოლის მოსწავლეთა ბაზის (Eschool) დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ რაოდენობის და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობაში მითითებული საათების ოდენობას (ხარვეზი). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია MES 1 26 0000550035, 08/05/2026 და MES 3 26 0000587479, 18.05.2006წ., რომლის საფუძველზე, სკოლის დირექტორმა და საქმისმწარმოებელმა მიიღეს თანხმობა - მათი სამუშაო დატვირთვა აღემატებოდეს კვირეული საათების კანონით დადგენილ ოდენობას. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, ამ ეტაპზე,</u> **აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაციის და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კანდიდატები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა

დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში სულ 39 მასწავლებელია, მათგან 30 უფროსი, 7 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებლის სტატუსის მქონეა. ასევე, სკოლაში დასაქმებულია მოწვეული მასწავლებელიც და მისი საათობრივი დატვირთვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ -ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ, განიხილავენ სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს - აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელის/სერთიფიკატის გადაცემა; გ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ინფორმაცია სკოლის წარმატებების,

თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-115, 16.02.2026წ.);
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- თანამშრომელთა/სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები;
- შრომის შინაგანაწესი;
- სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ;
- სკოლაში დასაქმებული პირების პირადი საქმეები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-115, 16.02.2026წ.). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლაში შესაბამისი პროცედურების და პოლიტიკის დანერგვა, რაც დადებითად აისახება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესის გაცნობა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის - იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის - განთავსებულია სკოლის შენობაში და ვებ. გვერდზე. ექსპერტები გაეცნენ კათედრების პორტფოლიოებს, სადაც წარმოდგენილი იყო კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების განრიგი. როგორც ირკვევა, კათედრები ახორციელებენ პედაგოგთა პრაქტიკის ანალიზს და ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისად, ადმინისტრაციასთან ერთად გეგმავენ პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებს. თანამშრომლების პირადი საქმეების დათვალიერების საფუძველზე ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტებმა განიხილეს კათედრების პორტფოლიოები. თითოეული მათგანი შეიცავდა ინფორმაციას, გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე, პროფესიულ განვითარების შესახებ. კერძოდ, მონაწილეობა ტრენინგებში, პროგრამებში, პროექტებში და ასევე, კათედრის ფარგლებში განსახორციელელი ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სასწავლო შედეგებს. მაგალითისთვის, დაწყებითი კლასის მასწავლებლისთვის განისაზღვრა ტრენინგების გავლა სახელწოდებით, ,,მდგრადი განვითარების მიზნების შესწავლა დაწყებით კლასებში, ზღაპრების საშუალებით“, ასევე, ,,ცდებსა და ექსპერიმენტებზე დაფუძნებული სწავლება,,. დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლის შიდა ბაზაზე ხორციელდება გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. სკოლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ამოცანები, რომელთა მიზანია სკოლაში პერსონალის ეფექტიანი მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (სტრატეგიული მიზანი N2 - ადამიანური რესურსების განვითარება). ზემოაღნიშნული მიიღწევა შემდეგი აქტივობების განხორციელების საფუძველზე: პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა, ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი იღონისძიებების ორგანიზება, წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების/ შეხვედრების ჩატარება თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება, მათთვის ინფორმაციის მიწოდება ა.შ. ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული დოკუმენტაცია (კათედრის პორტფოლიოები, მასწავლებელთა პირადი საქმეები) და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-115, 16.02.2026წ.) დოკუმენტის მე-18 მუხლი შეიცავს ინფორმაციას ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის შესახებ. კერძოდ, როგორც ირკვევა, დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე - უზრუნველყოფს ორგანიზაციული კულტურის და წესების გაცნობას, სკოლის დათვალირებას, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა არსებული ალტერნატიული გზების (მაგალითად, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში) შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ა.შ. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ადაპაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაფორმალურ შეხვედრებს, რაც უზრუნველყოფს მასწავლებლის კოლეგებთან ეფექტიან კომუნიკაციას და პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სკოლის ახალი თანამშრომლების იღებენ პრაქტიკულ რჩევებს კოლეგებისგან, ეცნობიან სასწავლონ პროცესის ორგანიზების მეთოდებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესი, ასევე, სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. სკოლის დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ თანამშრომელთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და დადებითად აისახება მათ შემდგომ საქმიანობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-115, 16.02.2026წ.);
- შინაგანაწესი;
- კატედრების პორტფოლიოები;
- 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის N 2-96 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ასევე, შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ქმნის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოსწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან საუბრისას, ასევე, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროცესების მართვა სკოლაში რეალურად მიმდინარეობს და დადებითად აისახება დაწესებულების განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

   დაწესებულება იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულიმმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, წარმატებით ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება,

საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. - შეუფერხებლად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სსიპ ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-107, 04.02.2026წ.), რომელიც არეგულირებს საჩივრის განხილვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების წესებს. კერძოდ, დაწყებული ადმინისტრაციული საჩივრის ფორმას, განხილვის ვადებს, ჩართულ მხარეებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

ვინაიდან, დაწესებულებას შედგენილი აქვს საჩივრების განხილვის მექანიზმი და ასევე ვალდებულება, რომ ზემოაღნიშნული წესის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს მეტყველებს იმაზე, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლაში ხორციელდება პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან და მშრობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც, ამის ნათელი მაგალითია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 24 დეკემბრის N 2-96 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

- შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სსიპ ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-107, 04.02.2026წ.);
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის აქტიურ ჩართულობას. კერძოდ, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს. სკოლა უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას. სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 2 თებერვლის N2-105 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მშობელთან კომუნიკაციის წესი, რომელიც მიზანია, გაზარდოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების დაინტერესება სასკოლო ცხოვრებაში. დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) განსაზღვრავს მხარეთა უფლება მოვალეობებს და ვალდებულებებს, სკოლის საქმიანობის შესახებ მშობლის ინფორმირების წესს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შესახებ მშობლების დროული ინფორმირების რეგულაციას, მოწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირებას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა

საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 2 თებერვლის N2-105 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მშობელთან კომუნიკაციის წესი;
- სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის წესრიგს უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, დამონტაჟებულია <u>სათვალთვალო კამერები. თუმცა, ისინი ვერ აკონტროლებენ კიბის უჯრედებს. სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს სკოლის მთელი პერიმეტრის აღჭურვა სათვალთვალო კამერებით.</u> დირექტორის ბრძანებით სკოლაში დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. <u>სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.</u>

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლას შედგენილი და დამტკიცეუბლი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ადამიანების და პროცესების უსაფრთხოება“ რომლის მიზნებიდან ერთ-ერთი სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხაა წარმოდგენილი. დოკუმენტის მე-7 თავი შეიცავს ინფორმაციას სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.

შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2026 წლის 19 თებერვლის MIA 5 26 00581341 წერილის საფუძველზე, დაწესებულებას შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილი წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი - შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე წლის 26 თებერვალს, წერილით MES 9 26 0000213334.

<u>სკოლას არ აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (ხარვეზი).</u> როგორც გაირკვა, სკოლის წერილობითი მიმართვის

საფუძველზე, შესაბამისი სპეციალისტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, შეისწავლეს შენობის უსაფრთხოების, გამძლეობის და ექსპლუატაციის ვარგისიანობის მდგომარეობა, თუმცა, შესაბამისი დასკვნა ჯერ არ იყო შემუშავებული. **<u>დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 12.02.2027წ.</u> ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლის ექიმის ხელშეკრულებაში, ფუნქციებში, გაწერილია პირველადი დახმარების ვალდებულება. ასევე, მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს მას მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე. სკოლის დირექტორის ბრძნებით N2-97, 24.12.2025წ. დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. თუმცა, **<u>სკოლის ექიმის კაბინეტი ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. კერძოდ, სკოლის კაბინეტში არ იყო შირმა, რაც ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების დროს პირადი სივრცის და კონფიდენციალობის დაცვას (ხარვეზი). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია შირმით.</u> ინდიკატორი, რომელიც უარყოფითად იყო შეფასებული, ამ ეტაპზე, აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

დაწესებულება ხელმძღვანელობს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ

ღონისძიებებს. სკოლის მანდატურები (სულ 2) უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მონიტორინგს და დარღვევის შემთხვევაში ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა ზრუნავს არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება. სკოლის მდებარეობიდან გამომდინარე, კონტიგენტი ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებილი, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ერთიანობას, ურთიერთნდობასა და კომუნიკაციის მაღალ ხარისხს. აღნიშნული ფაქტორი დადებით ზეგავლენას ახდენს მოზარდთა ფსიქოემოციურ განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექიმიც ჩართულია მონიტორინგის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. თუმცა, <u>**სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების შესაბამისობას პერსონალურ მონაცემთა**</u>

<u>დაცვის კანონმდებლობასთან. სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დასაქმება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ -ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექციას, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. სკოლის საქმისმწარმოებელთან დაცულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად,, და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ექსპერტებმა განიხილეს სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი N5, 24.12.2025წ., საიდანაც ირკვევა, რომ დღის წესრიგის მთავარ საკითხს წარმოადგენდა სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა. სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში მრჩეველთა საბჭოს მიერ შემუშავდა რეკომენდაციები, რის საფუძველზე მრჩეველთა საბჭომ შეაფასა მიღებული შედეგები და დაიგეგმა შემდგომი ღონისძიებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ,,ადამიანების და პროცესების უსაფრთხოება";
- სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 19 თებერვლის MIA 5 26 00581341 წერილი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მიმდინარე წლის 26 თებერვლის წერილი MES 9 26 0000213334;
- სკოლის დირექტორის ბრძნებით N2-97, 24.12.2025წ. დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი N5, 24.12.2025წ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში და განთავსებულის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 15385.00კვ. მ მიწის ფართობზე. შენობა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია - შეკეთდა სახურავი, გარემონტდა სველი წერტილები და გათბობის სისტემა.

სკოლის შენობა 3 სართულიანია და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ეზოში რეკრეაციული სივრცეა. თუმცა, სკოლის ღობის მთლიანობა დარღვეულია და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას (ხარვეზი) გარდა ამისა, სკოლის ეზოში განთავსებულის ჯართი, რომელიც უარყოფითად აისახებ სკოლის გარემოზე, კერძოდ, მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და ზრდის ფიზიკური დაზიანების რისკს (ხარვეზი). სკოლის ეზოში არსებული ექსპლოტაციიდან გამოსული აუზიც, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ღრმა, ქმნის უსაფრთხოების რისკს, ამცირებს გარემოს ესთეტიკურ იერსახეს და აფერხებს სკოლის ეზოს ფუნქციურ გამოყენებას - სასურველია, განხორციელდეს მისი დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია/ადაპტირება, რათა გაუმჯობესდეს ეზოს ვიზუალური და პრაქტიკული დანიშნულება, (რჩევა). სკოლის ეზოში განთავსებულია სამი მცირე ზომის შენობა, კერძოდ, ყოფილის საქვაბე, საპირფარეშო და ელ. ტრანსფორმატორის შენობა, რომლების ავარიულია და ასევე, საფრთხის შემცველია მოსწავლეებისათვის (ხარვეზი). როგორც სკოლის დირექციამ აღნიშნა, შენობების დემონტაჟის პროცედურები უკვე დაწყებულია. სკოლის რამდენიმე საკლასო ოთახში განთავსებულია ძველი მერხები, რომლებიც სკოლის დირექციის განმარტებით, ექვემდებარება ჩამოწერას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში საკლასო ოთახების რაოდენობა საკმარისია, ამორტიზებული მერხების შენახვა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან, ისინი იკავებენ სასარგებლო ფართს და ხელს უშლიან სივრცის ეფექტიან გამოყენებას - აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება მოწესრიგებული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს სტანდარტებს - სასურველია გამოხორციელდეს მათი ჩამოწერა. (რჩევა).

სკოლის შენობაში ვხვდებით საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიების, ბიბლიოთეკას, რესურსოთახს, სამედიცინო კაბინეტს, სპორტულ დარბაზს გასახდელებით, გარე მოედანს, სააქტო დარბაზს, სამასწავლებლოს, მანდატურის ოთახს, დირექტორის და ადმინისტრაციის ოთახებს და სხვა. სკოლის სპორტულ დარბაზს ფანჯრებზე არ აქვს დამცავი ბადე (არსებული დაზიანებულია), *რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსწავლეთა ჯანმრთელობას* (ხარვეზი). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სპორტული დარბაზის ფოტოები, საიდანაც ირკვევა, რომ დარბაზის ფანჯრებს აქვს დამცავი ბადე.

ვიზიტის დროს სკოლის მე-2 და მე-3 სართულზე არ იყო დენი. როგორც სკოლის დირექციამ აღნიშნა, პრობლემა გარკვეული პერიოდია უკვე არსებობს. ვინაიდან, ელ. გაყვანილობის გარეშე შეუძლებელია განათების, ტექნიკური

<u>მოწყობილობების და სხვა სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება, აღნიშნული აფერხებს სასწავლო პროცესს (ხარვეზი).</u>

დაწესებულებას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადებად მითითებულია:

1. **სკოლის ღობის მთლიანობის უზრუნველყოფა - არაუგვიანეს 31.08.2026წ.**
2. **სკოლის ეზოში განთავსებული ჯართის ჩამოწერის პროცედურების განხორციელება - არაუგვიანეს 31.07.2026წ.**
3. **სკოლის ეზოში განთავსებულია სამი მცირე ზომის შენობის ჩამოწერის პროცედურები - არაუგვიანეს 31.08.2026წ.**
4. **შენობის მე-2 და მე-3 სართულზე ელ. გაყვანილობის აღდგენა - არაუგვიანეს 30.08.2026წ.**

რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ღობის მთლიანობის აღდგენა, ეზოში განთავსებული ჯართის ჩამოწერა, დაწესებულების ეზოში განთავსებული სამი მცირე ზომის შენობის ჩამოწერა და მე-2 და მე-3 სართულზე ელ. გაყვანილობის აღდგენა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

   როგორც სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუბრებისას გაირკვა, ბიბლიოთეკა აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. სკოლას ასევე გააჩნია გარე სპორტული მოედანი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობების, სპორტული ღონისძიებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას. გარდა ამისა, ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებისა და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობების ეფექტიანად განხორციელებას ხელს უწყობს ასევე სკოლის სააქტო დარბაზი, სადაც ტარდება სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი და საზოგადოებრივი ღონისძიება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკაც. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. წიგნები აღრიცხული და დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. **სასურველია, სკოლის ბიბლიოთეკა განახლდეს მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები და სასწავლო რესურსები (რჩევა).** სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N 2-100 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა სრულადა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. კერძოდ, არის გარე პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო, ასევე რესურსოთახი. თუმცა, სართულებზე გადაადგილება, მათ შორის, პირველ სართულზე მდებარე სპორტული დარბაზის გამოყენება არ არის შესაძლებელი. დაწესებულებამ წერილობით მიმართა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს თხოვნით სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირებასთან დაკავშირებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც ხარვეზის გამოსწორების გადად მითითებული აქვს 23.02.2027წ. პერიოდი. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის სასწავლო შენობა და მასში არსებული სივრცეები — საგნობრივი კაბინეტები, სპორტული და საბიბლიოთეკო სივრცეები, ეზო გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და შემოქმედებით ჩართულობას, რაც ხორციელდება როგორც შიდა, ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით. ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N 2-100 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება“;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, დაწესებულების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს 49 პორტატული კომპიუტერი, 3 პრინტერი და 5 პროექტორი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში 16 პერსონალური კომპიუტერია

დაკავშირებული ინტერნეტთან. სკოლაში ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერ ოთახში. სკოლის ადმინისტრაციის კაბინეტებში და ბიბლიოთეკაშიც პორტატული კომპიუტერები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების წესს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე (სკოლის დირექტორის ბრძნება N2-101, 20.01.2026წ.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ ბრძნება N2-101, 20.01.2026წ.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის -,,eflow"-ის მეშვეობით. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: tbilisi217@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ შესაბამის დოკუმენტაციას, განიხილეს და დაათვალიერეს სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow) და დარწმუნდნენ, რომ სკოლის საქმისწარმოება შეესაბამება დადგენილ წესს და სკოლის მიერ შემუშავებულ სამართლებრივ აქტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ ,საგანმანათლებლო რესურსცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, სახაზინო სამსახურს და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც. სკოლაში შესასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ყველას შეუძლია გაეცნოს სიახლეებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-101, 20.01.2026წ.), რომელიც პასუხს აგებს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და ვალიდურობაზე. სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის

ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში, ასევე, ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. სკოლას შედგენილი აქვს მშობლებთან კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს და შედეგად, უზრუნველყოფილია შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

<u>სკოლის ვებ. გვერდი არ არის ინფორმატიული და დაინტერესებულ პირებს არ აწვდის სრულ მონაცემებს დაწესებულების შესახებ. არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაციას სკოლის სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, ვებ გვერდი არ აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, ინფორმაციას ფინანსური მდგრადობის შესახებ, სამოქმედო გეგმის ანგარიშს.</u> **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად,**

დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ვებ. გვერდის ბმული, რომლის დათვალიერების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სკოლის პორტალზე დატანილი იყო სამოქმედო გეგმის ანგარიში, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები და ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, ამ ეტაპზე, აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება N2-101, 20.01.2026წ.;
- მშობლებთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და ვადებში. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- 2025 წლის შესყიდვების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი. მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები, რომელთა გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლის დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავს სკოლის ვალდებულებებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია ან კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის მშობლებს დოკუმენტებს, როგორიც არის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა და ა.შ. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე, ასევე, გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი ხელშეკრულების ნიმუში, გაფორმებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე ვალდებულებები (მე-3 მუხლი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით N2-117, 25.02.2026წ. დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ, ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ეფუძნება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N675, 23.08.2007წ. ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებს, მოსწავლის პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობა სამედიცინო ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N100), რაც ეწინააღმდეგება აღნიშნული ბრძანების დანართი N1-ით წარმოდგენილ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ვებ. გვერდის ბმული, სადაც წარმოადგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ჩარიცხვის პროცედურები, მათ შორის, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას ფეხბურთის წრის სახით, ქართული ცეკვის წრის სახით და მუსიკალური წრის სახით. თუმცა, სკოლის პორტალზე არ არის წარმოდგენილია ინფორმაცია წრეების და მათი სასწავლო პროგრამების შესახებ, მათ შორის, მონაცემები კვირეული დატვირთვის, სასწავლო აქტივობების, რესურსების შესახებ და ა.შ. ასევე, არც სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ვებ. გვერდის ბმული, რომლის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, ამ ეტაპზე, აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მოსწავლეთა მშობლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის კლასების დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-117, 25.02.2026წ. -მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტაცია;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (დირექტორის ბრძანება N2-99, 14.01.2026წ.) ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიზანია გააადვილოს პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სკოლის მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალისტები. დაწესებულებას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ პირველკლასელთათვის სწავლის დაწყება მნიშვნელოვანი ეტაპია, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის დამოკიდებულება სწავლისა და სკოლის მიმართ. შესაბამისად, დაწესებულება პირველივე დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაიარონ სკოლასთან ადაპტაციის პერიოდი - აწყობს საზეიმო დახვედრას, აცნობს მათ სკოლის ინფრასტრუქტურას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლეს სთავაზობს აკადემიურ მხარდაჭერას, როდესაც თავს იჩენს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა გამოიკვლიეს მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ხორციელდება რემედიაციული პროცესები - საგნობრივი კურიკულუმები შეიცავს ინფორმაციას რემედიაციის პროგრამის შესახებ. როგორც ირკვევა, თუ მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზის გამო აქვს სწავლაში შეფერხება სხვადასხვა მიზეზით, სათანადოდ ვერ ივითარებს აკადემიურ უნარებს, სკოლა

სთავაზობს რემედიაციას მიზნობრივი აქტივობების საშუალებით. რემედიაციის პროგრამაში ასევე, ჩაერთვებიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან ისეთი ტიპის სირთულეებს, როგორიცაა არასაკმარისი სასკოლო მზაობა, წაკითხულის გააზრება და სხვა. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. რემედიაციის პროგრამა იქმნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროების მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მოსწავლე და მისი მშობელი ინფორმირებული არიან სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების შესახებ. ელექტრონული ჟურნალის საშუალებას აძლევს მშობელს თვალი ადევნოს მოსწავლეების ელექტრონულ აღრიცხვას და შეფასებას, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნას, მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით, არაფორმალური აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას, რაც დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიუირების საფუძველზე - მოსწავლეებმა გაიხსენეს დაწესებულების დირექციის მხრიდან კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უკავშირდებოდა თვითმმართველობის წახალისებას. სკოლა მუდმივად აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტებისა და კონკურსების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციამ საუბრის დროს განაცხადა, რომ მოსწავლეთა მომსახურებასთან დაკავშირებული უკუკავშირი მიეწოდებათ ზეპირი ფორმით, მშობელთა კრებებზე ან სატელეფონო კომუნიკაციით. მშობლებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სკოლის წარმომადგენლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (დირექტორის ბრძანება N2-99, 14.01.2026წ.);
- საგმონრივი კურიკულუმები;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნული და პროფესიული ინტერესების ორიენტირების განსაზღვრის საკითხს. ამისთვის, დაწესებულება კონკრეტულ აქტივობებს ახორციელებს, რაც გულისხმობს უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლების ვიზიტს სკოლაში. მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია პროფესიულ სასწავლებელთან, ,,საქართველოს ბიზნესის აკადემიასთან", ითვალისწინებს მოსწავლეების ვიზიტს კოლეჯში. სადამრიგებლო საათიც ერთ-ერთ გზაა მოსწავლეთა ინტერესის დაკმაყოფილების, მათ ინფორმირებას საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, რაც მოსწავლეებს ეხმარება პროფესიის შერჩევის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლა გარკვეული სიხშირით აწვდის სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. მოსწავლეებს ინფორმაცია მიეწოდება კლასის დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო საათზეც. როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტების და პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრები ხელს უწყობს მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აღნიშნული დაადასტურეს მშობლებმაც. ადმინისტრაციის ინფორმირება გაწეული მომსახურების შესახებ ხორციელდება დაინტერესებული მხარეების მხრიდან - დამრიგებლები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, მოსწავლეები უზრუნველყოფენ გაწეული მომსახურების შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელთან, ,,საქართველოს ბიზნესის აკადემია“;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   დაწესებულების მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სკოლის ისგ-ს ჯგუფების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს დასკვნას სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და რეკომენდაციები თაობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ინკლუზიური სწავლების პროცესში. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები. ტარდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის სასკოლო საწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი;
- სსიპ -ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელზეც ფართი გაცემულია იჯარის ფორმით და მეიჯარესთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. <u>თუმცა, სკოლაში ვიზიტის დროს, კვების ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მასში ხორციელდებოდა საკანცელარიო საქონლის რეალიზება, რომლის გაყიდვაც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული - შესაბამისად, დარღვეული იყო იჯარის პირობა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც წარმოდგენილია კვების ობიექტი, რომლის დახლებზე არ არის განთავსებული საკანცელარიო საქონელი,</u> ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ დამატებითი მომსახურების შეთავაზება ხორციელდება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულებაში კანონით დადგებილი წესით ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: ქართული საკრავების შემსწავლელი წრე, ფეხბურთის წრე, ქართული ნაციონალური ცეკვის წრე. სკოლაში მოქმედებს ღირებულებითი განათლების კლუბი, სადაც საკუთარი სურვილით გაერთიანებული არიან VIII და IX კლასის მოსწავლეები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დაწესებულებაში ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი ნორმების დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. ამას უზრუნველყოფს სკოლის შიდა რეგულაციები, რომლებიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ღირებულებითი განათლების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

   სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი იძლევა საშუალებას სკოლის დონეზე რეალიზდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ის წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს, რათა სკოლამ საზოგადოების ერთიანი ჩართულობით, მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით დასახოს მოსწავლის პიროვნული განვითარების გზა, ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის დელეგირებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც უკავშირდება **მოსწავლეებთან, მშობლებთან** კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული აქტუალური და პობლემური საკითხების განხილვასაც, ინფორმირებას, მათი აზრისა და შეხედულებების გაზიარებას (გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი). კურიკულუმის შემუშავება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ კვლევისა და ანალიზის შედეგებს, ტარდება კათედრის სხდომები სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად (სსიპ - ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი. მუხლი 7); **პედაგოგებს** შორის მიდის კოორდინირებული მუშაობა, უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციას მონაცემების ბაზის განახლების უზრუნველსაყოფად, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

   კურიკულუმის შემუშავებისას ჩართულია სასკოლო საზოგადოება და გათვალისწინებულია მათი ინტერესები. მაგ.: პედაგოგები დეტალურად განიხილავენ სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე არსებულ მიგნებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, სწავლის სტილს, ტემპს და ქმნიან დიფერენცირებულ შემოქმედებით დავალებებს. სკოლა ატარებს კვლევებს, რაც წარმოდგენილი კითხვარებისა და კვლევის შედეგების ანალიზის დოკუმენტებითაც დადასტურდა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (მაგ.: ქ.თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ანალიზი) ჩანს, ეს კვლევები ძირითადად მიმართული იყო სკოლის ფილოსოფიის საბოლოო სახით შემუშავებისთვის, თუმცა შეკითხვები უკავშირდებოდა კონკრეტულად სწავლებასაც და შედეგებში გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ის ინტერესებიც, რომელიც კურიკულუმის განვითარებას უკავშირდებოდა, მაგალითად მატერიალურ ტექნიკური ბაზის, სასწავლო რესურსის გაუმჯობესება, შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. სამუშაო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ეს ინტერესები რეკომენდაციად გაწერა სასკოლო კურიკულუმში ინტეგრირებისთვის.

კრებებზე მშობლებს სწავლის დასაწყისშივე კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს აცნობენ, როგორიცაა თუ როგორი ტიპის დავალებები ექნებათ შესასრულებელი მოსწავლეებს, რა სასწავლო აქტივობები და ღონისძიებები იგეგმება, აცნობენ სასკოლო საწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხებს და სიახლეებს, რაც აგრეთვე დასტურდება მშობელთა კრების ოქმებით(სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მე-4ა კლასის მშობელთა კრების ოქმი 1. 2025 წლის 30 სექტემბერი). მშობლები და მოსწავლეები ინტერვიუშიც აღნიშნავდნენ, რომ სკოლა მათ ინტერესებსა თუ ინიციატივებს ითვალისწინებს, მაგალითად მოსწავლეებმა კლასგარეშე შემოქმედებითი ღონისძიებების(ინტელექტუალური შეჯიბრებები) ჩატარების მაგალითი დაასახელეს, რომლის დაფუძნება სკოლაში მათი ინიციატივით მოხდა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები, ე.წ. კურიკულუმების ჩარჩოები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოერგოს სხვადასხვა შესაძლებლობებისა(სწავლის სტილი, ტემპი, აკადემიური, ფიზიკური უნარები) თუ საჭიროების მქონე მოსწავლეს. იქმნება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შემუშავებაში ჩართულები არიან საგნის პედაგოგი, სპეციალური პედაგოგი და მშობელი. წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები ითვალისწინებს თითოეული სსსმ მოსწავლის შესაძლებლობისა და საჭიროებებს.**ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დოკუმენტში (სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი მუხლი 2. პუნქტი2) გამოკვეთილია რომ კურიკულუმის დანერგვა, მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები, რომელთა შორისაც მიდის ინტენსიური და გამჭვირვალე თანამშრომლობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავებისა მექანიზმით, ასევე კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით (მაგ., სსიპ ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრის სხდომის სხდომის ოქმი № 1 29./09/2025 წ., სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი № 1 8/09/2025 წ.).) დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთ თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. **პედაგოგებთან** ინტერვიუმაც დაადასტურა, რომ შინაარსობრივი საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე, სადაც მუშავდება საგნობრივი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისთვის, აგრეთვე ხდება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა, სასწავლო აქტივობების, ღონისძიებების დაგეგმვა, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, საბაზო და საშუალო საფეხურის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, შემაჯამებლების ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ

გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულებია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.**ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი სამივე საფეხურზე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, მაგალითად მშობლებთან ინტერვიუმაც ცხადყო, კურიკულუმის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილის(მაგ.სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა. 2025-2026 სასწ.წელი) და მასთან დაკავშირებული საკითხების მშობელთა კრებებზე განხილვა დასტურდება ოქმებითაც. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კათედრის პირველი სემესტრის შემაჯამებელი ოქმები ცხადყოფს(მაგ.: სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N2/ 30.12.2025წ), რომ მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის შეფასებაში, რაც, თავის მხრივ, კურიკულუმის განხორციელებას, განვითარებას უკავშირდება. სკოლა სხვადასხვა გზით უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან. **ინდიკატორის მოთხოვნა შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი
- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;
- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სასუალო საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი № 1 8/09/2025 წ
- სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1 8/09/2025წ
- სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი N2 30.12.25
- სსიპ ქ.თბილისის N217 საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ანალიზი
- სსიპ ქალაქ თბილისის N217 საჯარო სკოლის მე-4ა კლასის მშობელთა კრების ოქმი 1. 2025 წლის 30 სექტემბერი).
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით. ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს. რესურსების მრავალფეროვნება, მოსწავლეებს მისცემს საშუალებას მარტივად მოახერხონ სამიზნე ცნებებზე გასვლა სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ მითითებულია ესგ-ს განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები. ზოგიერთ შემთხვევაში (ბიოლოგია 8 კლასი) მოცემულ კურიკულუმში შუალედური მიზანი მოცემულია მხოლოდ სათაურის სახით, არ ჩანს შემოქმედებითი პროდუქტი დავალების პირობა და დავალების შეფასების კრიტერიუმები. **რჩევა: საბაზო საფეხური** - სასურველია 8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში კონკრეტულად იყოს გაწერილი შემოქმედებითი დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და ჩანდეს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგანში (მე და საზოგადოება, ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა,პროექტული სწავლება მოქალაქეობაში) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. თითოეული საგნის კურიკულუმში უმეტესად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები,რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში ასახულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტები, მათ შორის თემები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური ტიპის დავალებები და შესაბამისი სასწავლო რესურსები. კურიკულუმების სტრუქტურა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრას, სწავლა-სწავლების პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის რეალიზებას. წარმოდგენილი შინაარსები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეთა ასაკობრივი და განვითარების თავისებურებების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ეფექტურ სწავლებას, მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი **დაწყებითი,საბაზო** და **საშუალო** საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს რომ უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და

	თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია, მუსიკასა და ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები და შემოქმედებითი შინაარსის დავალებები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ორიენტირებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია აქტიურ სწავლებაზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, თანამშრომლობით სწავლებასა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე. გაქვს რამდენიმე **რჩევა** კურიკულუმებთან მიმართებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, სამომავლოდაა გასათვალისწინებელი. **I-V კლასები** · საკითხი და დავალების იდეა ერთ გრაფაშია მოცემული. **სასურველია,** საკითხი ისე იყოს, როგორცაა, სახელდებითი წინადადებით მოცემული, ხოლო დავალების იდეა დავალების პირობას წარმოადგენდეს და აქტიური ზმნებით დაიწეროს. მაგ. **საკითხი:** საყვარელი თამაშის წესების გაცნობა. **დავალების იდეა/პირობა-** გაიხსენე, რაზე დაგაფიქრა მოსმენილმა ტექსტმა, რა ყოფილა გასათვალისწინებელი თამაშის სწავლების დროს. გააცანი შენი საყვარელი თამაშის წესები შენს თანატოლებს, რომ მათაც შეძლონ სწორად თამაში. შეგიძლია შენი საყვარელი თამაში დახატო ფერადი ფანქრებით ან ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ და ისე წარუდგინო კლასელებს. · სასურველია, გრაფას ერქვას **ტექსტები და კონტექსტმაგალითები,** რადგანაც რეალურად კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ტექსტები, ასევე დამატებითებიც რომლებიც მუშავდება თემაში.

	1-ელი კლასის კურიკულუმს ახლავს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკაც. **მე-7 კლ.** წარმოდგენილი კურიკულუმი ფაქტობრივად სახელმძღვანელოს სარჩევია, ტექსტების ჩამონათვალი. არ ჩანს, რა ცნებები მუშავდება თემაში და რა შემოქმედებითი დავალებებით მუშაობენ ცნებებზე. თან დართული შემოქმედებითი ბუნების დავალებაში საკვანძო შეკითხვები და დავალების პირობა ნაკლებად თანხვდება ერთმანეთს, არაა წარმოდგენილი ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა ამ დავალებაზე მუშაობის დროს. **რჩევები:** · სასურველია, კურიკულუმი შედგებოდეს შემდეგი გრაფებისაგან: თემა, ცნება, საკითხი, ტექტსები და და კონტექსტმაგალითები, დავალების იდეა (პირობა), რესურსები. · შემოქმედებითი ბუნების დავალებაში სასურველია, პირობის ყველა ნაწილი ერთმანეთის თანხვედრაში იყოს, ასევე მკაფიოდ ჩანდეს ნაბიჯები. **მე-8 კლ.** **რჩევები:** · **სასურველია,** დავალების გრაფაში ჩაიწეროს ის, რაც წერია საკითხების გრაფაში; · კონტექსტმაგალითების გრაფას ერქვას-ტექსტები და კონტექსტმაგალითები; · დავალების პირობა დაიწეროს სრულად და მკაფიოდ (მაგ. არგუმენტირებული ესე რის შესახებ); · სასურველია, შემოქმედებითი ბუნების დავალებები უფრო მეტი მუშავდებოდეს კლასში. **მე-9 კლ.** **რჩევები:** · **სასურველია,** დავალების გრაფაში ჩაიწეროს ის, რაც წერია საკითხების გრაფაში;

	· კონტექსტმაგალითების გრაფას ერქვას-ტექსტები და კონტექსტმაგალითები; · დავალების პირობა დაიწეროს სრულად და მკაფიოდ (მაგ. არგუმენტირებული ესე რის შესახებ); **მე-10 კლ.** საკითხებისა და დავალების პირობის გრაფა ფაქტობრივად იდენტურია. საკითხების გრაფაში დავალების დასახელება ჩაიწეროს სახელდებითი წინადადებით (მაგ. ზეპირი გამოსვლა თემაზე,,ქართული მწერლობის განვითარების გზა“); ხოლო დავალების პირობაში ისე-როგორც ვავალებთ მოსწავლეს (მაგ. ამასა და ამაზე დაყრდნობით ... მოამზადეთ ზეპირი პრეზენტაცია თემაზე ,,ქართული მწერლობის განვითარების გზა“); დავალების იდეის გრაფაში არაა საჭირო კრიტერიუმების ჩამოწერა. **კათედრასთან შეხვედრისას პედაგოგებმა გაიზიარეს ჩვენი რჩევები როგორც კურიკულუმის ჩარჩოსთან, ასევე დავალებების პირობების გამოკვეთასთან დაკავშირებით, რაც აისახა კიდევაც ვიზიტის შემდგომ გამოგზავნილ მე-6 კლასის კურიკულუმში.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნის კურიკულუმ(ებ)ი შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის, მათემატიკის სტანდარტის მიზნების გათვალისწინებით და ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ნათლად ჩანს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი სახის დავალებებზე დაფუძნებული სწავლების ელემენტები, რაც ემსახურება ღრმა და ფუნქციური ცოდნის ჩამოყალიბებას. მოსწავლეს აძლევს საშუალებას განვითარდეს ინდივიდუალურად, გამოხატოს თავი და განივითაროს ის უნარები, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია განსაზღვრული როგორც სწავლის საბოლოო მიზანი. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო) სასურველია, მასწავლებლებმა გაითვალისწინონ, რომ ყველა კურიკულუმს მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა).

	რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მათემატიკის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოთი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა :** სასურველია საშუალო საფეხურზე გაითვალისწინონ IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო და შესაბამისად შეავსონ გრაფები.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ტექნოლოგიებში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტიან საფუძველს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ამასთან, რეკომენდაციის სახით მიეცა **რჩევა**, რომ კურიკულუმში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს საგნობრივი მიმართულებები, დაკონკრეტდეს ქვეცნებები და გაძლიერდეს პროექტზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინტეგრირებული დავალებები, რომლებიც მეტად განავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები… კურიკულუმების ჩარჩოში იყო ტექნიკური

	ხარვეზები, რომლის ჩასწორებაც მოხერხდა. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასურველია კათედრის ყველა მასწავლებელმა ისარგებლოს კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოთი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადად საგნობრივი კურიკულუმები შესაბამისობაშია ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან. დაგეგმილი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, შერჩეულია თემები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმი მიმართონ გრძელვადიან შედეგებს. ფიზიკის 9 კლასის კურიკულუმში თითოეული თემის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ვიზიტის შემდეგ გადმოგზავნილ კურიკულუმში ცვლილებები შეტანილი არ არის. **რჩევა: საბაზო საფხური** სასურველია ფიზიკის 9 კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების ასახვა **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომელთა ფარგლებში მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული შედეგები და სამიზნე ცნებები.პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში მათ მიეწოდათ შესაბამისი რეკომენდაციები.

	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ ცალკეულ კლასებსა და საგნებთან მიმართებით მიზანშეწონილია გარკვეული ასპექტების დამატებითი დაზუსტება და გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოდგენას. კერძოდ, სასურველია: ● საგანში „მე და საზოგადოება“ (III კლასი) სამიზნე ცნებები თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი ყველა თემაში; ● „საქართველოს ისტორიაში“ (XII კლასი) თემების ფარგლებში სრულად აისახოს სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი დავალების იდეაში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი; ● „მოქალაქეობაში“ (X კლასი) შემოქმედებითი დავალების იდეაში აქტივობებთან ერთად გამოიკვეთოს საბოლოო პროდუქტი; ● „მოქალაქეობის“ კურიკულუმებში (X-XI კლასები) შემოქმედებითი დავალების იდეებში პროდუქტი იყოს უფრო კონკრეტულად განსაზღვრული; ● გეოგრაფიის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების გრაფაში წარმოდგენილი იყოს დავალების აღწერა; ● XII კლასის კურიკულუმში „საკითხთა“ გრაფა იყოს უფრო დეტალურად შევსებული. **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნობრივი კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილია პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კურიკულუმის ყველა კომპონენტის (თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, შედეგი, რესურსი,შემოქმედებითი დავალება) შორის ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ თემაში თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, ხოლო შემოქმედებითი დავალებების იდეებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი.ამასთან, სასურველია, სხვა პედაგოგების მიერ გაზიარებული კურიკულუმები ადაპტირდეს სკოლის კონტექსტის შესაბამისად და მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, განსაკუთრებით საგანში „ჩვენი საქართველო“ (VI კლასი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	წარმოდგენილი სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათთან შინაარსობრივ შესაბამისობას. კურიკულუმებში ასახულია საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი შედეგები, სამიზნე ცნებები, თემები და აქტივობები, რაც ქმნის საფუძველს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების, პრიორიტეტული მიმართულებებისა და საგნობრივი კომპეტენციების მიღწევისთვის. ამასთანავე მასწავლებლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობები, და პროექტებზე დაფუძნებული მუშაობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კურიკულუმის მიზნობრივობას და ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო სწავლებით, არამედ ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ინტერესების გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო** საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს შუალედური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, ის ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი **დაწყებითი** საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები და **საბაზო** VII,VIII-IXკლასები აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სწორად არის წარმოდგენილი და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული . დაფარულია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი, თემატური ბლოკის ფარგლებში სამიზნე ცნებები, საკითხი, კომპლექსური დავალების განხორციელების დროს ქვეცნებები. კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმები ისეა აგებული, რომ თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად იფარება ყველა ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, მათ შორის პროექტებს (სამივე საფეხურზე). **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

	რჩევა: ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა. **ხელოვნების დაწყებით და საბაზო კურიკულუმებში მიუთითეთ თემატური ბლოკები.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ასევე - დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული თემატური ერთეული და მასთან დაკავშირებული აქტივობა უკავშირდება საგნობრივ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. **რჩევა:** (დაწყებითი) პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის უახლესი ვერსიითა და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III კლასის კურიკულუმი. კერძოდ, მკაფიოდ გაიწეროს თემა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები . **რჩევა:** (დაწყებითი) სასურველია, კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტების შესაბამის სვეტებში ზუსტად იყოს დატანილი ინფორმაცია. კერძოდ VI კლასის მათემატიკის კურიკულუმში დაკორექტირდეს „ძირითადი კონტექსტ-მაგალითისა“ და „დავალების იდეა/პირობის“ შესაბამისი სვეტები. სასურველია, მკაფიოდ ჩანდეს რა შემოქმედებითი პროდუქტის განხორციელება უწევთ მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს ორიენტირებულ, სისტემურ და მიზანმიმართულ სასწავლო პროცესის დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. მათემატიკის კურიკულუმებზე დაყრდნობით, მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ცნებები, ქვეცნებები, თემები კურიკულუმში შეიტანონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის არსებული საგანმანათლებლო რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ხელს უწყობს სწავლა - სწავლების პროცესს. სასწავლო რესურსები მოიცავს: გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე

	ლიტერატურას, ვიზუალურ მასალას (პოსტერი, სქემა, მოდელი, მულაჟი) ციფრულ რესურსებსა და სიმულაციებს. **რჩევა: საბაზო და დაწყებითი საფეხური** - სასურველია, 2 კლასის ბუნებისმეტყველების 8 კლასის ბიოლოგიასა და 9 კლასის ფიზიკის კურიკულუმებში, მიეთითოს ინტერნეტ რესურსების შემოწმებული ბმულები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები ძირითადად მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. თუმცა, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ დამატებით რესურსებს, როგორიცაა სასწავლო რუკები, თემატური ვიდეორგოლები, ანიმაციები და სხვა ვიზუალური მასალა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში,, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, სასურველია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და მითითებული დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგ., ანიმაციები, „ტელესკოლის“ გაკვეთილები, საგანმანათლებლო ვიდეოები და სხვა), რაც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებში ასახულია რესურსები, მათ შორის როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი — გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი ციფრული რესურსები. წარმოდგენილი რესურსების შემოწმების შედეგად იკვეთება მათი მიზნობრივი და შინაარსობრივად შესაბამისი გამოყენება, რაც ემსახურება თემების, საკითხების,

	სამიზნე ცნებებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მითითებული რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი (I-IVკლასების) **საბაზო საფეხურის VII, VIII-IX საშუალო X და XI** მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის მეტად საინტერესოსა და მოქნილს.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ზირითადად სრულადაა ასახული დაწყებითი საფეხურის **მუსიკის** საგანმათლებლო პროგრამის დაწყებითი კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.** **რჩევა: სასურველია ხელოვნების კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე თავადაც შეექმნათ ვიზუალური სახალისო თუ შემოქმედებითი რესურსები.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში კათედრა იყენებს გრიფირებული სახელმძღვანელოებს; დამატებითი საგანმანათლებლო მასალებს; ციფრული რესურსებს, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ რესურსებს. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება მიზნობრივად, საგნობრივი შედეგებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსები ასახულია კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია ისე, რომ ისინი სრულად ემსახურება სასწავლო მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა გამიზნულად იქნა შერჩეული სხვადასხვა ტიპის რესურსები (სახელმძღვანელო, სწავლების ელექტრონული პლატფორმები, ვიდეო მასალები, სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები...). აღნიშნეს, რომ თითოეული რესურსი უკავშირდება კონკრეტულ სწავლის შედეგს და ეხმარება მოსწავლეს ცნებების გაგებაში, პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაში. **რჩევა:** (საბაზო, საშუალო) სასურველია, მათემატიკის IX და X კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მასწავლებელს მიეცა რჩევა კურიკულუმებში მიეთითოს, თუ რომელი გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, კურიკულუმის შედგენისას ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები და ინსტრუმენტები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას. ამასთან, მიეცა რეკომენდაცია, რომ რესურსები მეტად გამრავალფეროვნდეს და გაიზარდოს პრაქტიკული,

	ინტეგრირებული აქტივობების ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებს არ წარმოუდგენიათ ადაპტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების დოკუმენტი სსსმ მოსწავლისთვის. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად ესმით რამდენად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური. მათ გამოკვეთეს ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელსაც სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ და როგორ ახდენენ კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლისთვის, როდესაც ამის საჭიროება დგება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში მკაფიოდ იკვეთება, რომ მათ მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. აღნიშნული გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მიზანმიმართულ დაგეგმვას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას.

	მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ეს გამოიხატება სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზებაში, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვაში და სწავლების მეთოდების ადაპტირებაში მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად.აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც მოწმობს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე. ამასთანავე, კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი ტიპის დავალებები და სხვადასხვა რესურსის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და კათედრასთან ინტერვიუს დრო მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერ იძლევა საფუძველს რომ კათედრა სამივე საფეხურზე ითვალისწინებს ინკლუზიურ დ დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხ აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვი ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას,თუმ კურიკულუმებში ნაწილობრივ აისახება ყოველივე. **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.** **რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლებ პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.(მაგალითა დავალების პირობაში).**

სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, პედაგოგები იყენებენ მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდ.გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება. გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, მრავალფეროვანი აქტივობები და ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. განსაკუთრებით გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლებისას იყენებენ ადაპტირებულ მასალებს, ვერბალურ და ვიზუალურ მხარდაჭერას, გაძლიერებულ ინსტრუქციებსა და ეტაპობრივ დავალებებს. ინტერვიუდან ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესშიც გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე და მოცულობა მორგებულია სხვადასხვა აკადემიური დონის მოსწავლეებზე. სასწავლო გარემო ხელს უწყობს კომფორტულ, მხარდამჭერ ატმოსფეროს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და განვითარების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, წარმოდგენილი აქვთ ინდ გეგმა, ასევე ჰყავთ ისეთი სსსმ მოსწავლე რომელსაც სპორტის საგანში არ აქვს შეზღუდვები ბავშვი სპორტში აქტიურია და არ ჩამოუვარდება თანატოლებს. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განხორციელებული

	აქტივობების ფოტო მასალები. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებელია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სპეციალურ მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების ეფექტურად გათვალისწინებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ გეგმა, რაც მიუთითებს ინდივიდუალური მიდგომების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. **რეკომენდებულია** დიფერენცირებული სტრატეგიების კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამოყენება, რათა ყველა მოსწავლის ჩართულობა და პროგრესი მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრამ სამივე საფეხურისთვის წარმოადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული (2023 წელი) "სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლის შეფასების მიმართულებით" და ზოგადი დოკუმენტი სასწავლო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე არის ძალიან ზოგადი და არ არის დაკონკრეტებული საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორები. ინტერვიუს შემდეგ გადმოგზავნილია ორი რუბრიკა, რომლებიც ზოგადია და არ მიემართება საგნობრივ სტანდარტში მითითებულ ცნებებს.

	ხარვეზი: სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ და დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველებამ ვერ წარმოადგინა ვალიდური განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებლებამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, როს საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია და პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას, კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ ანალიზს.მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოვლენას და განვითარების საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას.ამასთან, საგან „**მე და საზოგადოებაში**“ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დამატებით დახვეწას, რათა უფრო სრულად იყოს მიმართული სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე.**საგან „გეოგრაფიაში“** წარმოდგენილია დიაგნოსტიკური ტესტის ანალიზი, რომელიც ძირითადად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და სამიზნე ცნებებთან. მოსწავლის შედეგების ანალიზი ასახავს შესაბამისობას ინდიკატორებთან და აჩვენებს როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ისე სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების გამოვლენას.ამასთან, ანალიზში იკვეთება ცალკეული უზუსტობები, რომლებიც დაკავშირებულია ინდიკატორებისა და სამიზნე ცნებების ურთიერთკავშირის უფრო მკაფიო და სტრუქტურირებულ წარმოდგენასთან. მაგალითად, სამიზნე ცნება „გეოგრაფიული მდებარეობა“ საჭიროებს ჩასწორებას. აღნიშნული საკითხების დაზუსტება კიდევ უფრო გააძლიერებს ანალიზის სიზუსტესა და მის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **რჩევა:** სასურველია, საგან „მე და საზოგადოებაში“ შემუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული

	მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე, შერჩეულ თემებთან, საკითხებთან ან/და ქვესაკითხებთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მკაფიო შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და გააძლიერებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიზნობრივ მონიტორინგს. ასევე, მიზანშეწონილია საგან „გეოგრაფიასა“ და კათედრაზე შემავალ სხვა საგნებში დიაგნოსტიკური შეფასების პროცესში ეტაპობრივად გაძლიერდეს დავალებების დიფერენცირება სააზროვნო დონეების მიხედვით, რათა თანაბრად იყოს წარმოდგენილი როგორც ფაქტობრივი ცოდნის, ისე ანალიზისა და შეფასების ამოცანები. ამასთან, სასურველია თითოეულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული კითხვები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული შესაბამის ინდიკატორებთან, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოსწავლის მიღწევების ზუსტ და სისტემურ შეფასებას. წარმოდგენილ ტესტის ანალიზში ჩასწორდეს სამიზნე ცნება ,,გეოგრაფიული მდებაროება,,. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმებში აღწერილი მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, ხოლო კომპლექსური ტიპის დავალებების შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები,რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი **დაწყებით** საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება ასევე თითოეულ მოსწავლესთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. **საბაზო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი სადაც აღნიშნულია რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს.

	საშუალო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში კათედრას აქვს წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრილები. ასევე საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია მუსიკის მე-10კლაისის და ხელოვნების მე- 11 კლასისი მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკური შეფასება. **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა **თითოეული თემის** ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. დამატებით წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში მეტ-ნაკლებად ასახულია გრძელვადიანი მიზნები/ცნებები, რომლებიც მუშავდება შემოქმედებითი ბუნების დავალებებში და შესაბამისად ფასდება სტანდარტის ინდიკატორებზე დაყრდნობით (იხ.1-ელი კლასის განმავითარებელი და მე-9 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). კათედრას შემუშავებული აქვს ასევე ამა თუ იმ ტიპის დავალების შეფასების ზოგადი რუბრიკებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** **სასურველია,** კათედრის(საბაზო -საშუალო) მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში აისახოს მოსწავლის შედეგები ცნებებთან მიმართებით, სრულად დაეფუძნოს სტანდარტის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს (იქნება ეს დისკუსია, პრეზენტაცია, ესე თუ სხვ.). მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და თანმიმდევრულობას. რუბრიკების

	გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შედეგების უფრო ზუსტ ანალიზს და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას.
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე, კრიტერიუმებზე, რაც ზრდის პროცესის სამართლიანობასა და სანდოობას. მოსწავლე იცის, რას, როდის და როგორ აფასებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და თანმიმდევრულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული

	შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ისგ გეგმები;
- პროექტები;
- "სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლის შეფასების მიმართულებით" -2023- განათლების ხარისხი ეროვნული ცცენტრი,
- ეროვნულ სასწავლო გეგმიდან ამოღებული ამონარიდი განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაზე;
- შემოქმედებითი ტიპის დავალებების ნიმუშები;
- დიაგნოსტიკური ტესტის ანალიზის ფორმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ემყარება კურიკულუმით განსაზღვრულ საგნებს, მიზნებს, შედეგებსა და აქტივობებს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო საქმიანობები, მათ შორის დაგეგმილი აქტივობები და პროცესთან დაკავშირებული სამუშაო მიმართულებები, შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

	ემყარება კურიკულუმით განსაზღვრულ საგნებს, მიზნებს, შედეგებსა და აქტივობებს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო საქმიანობები, მათ შორის დაგეგმილი აქტივობები და პროცესთან დაკავშირებული სამუშაო მიმართულებები, შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი** საფეხურის ხელოვნება I-VI) და **საბაზო** საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, თემებს, შორის. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში სადაც შემოქმეებითი დავალება ხორციელდება, სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **საშუალო** საფეხურის კურიკულუმში ნათლად იკითხება,რომ პროექტული სწავლების ფარგლებში სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს პროექტულ სწავლებაზე, განხორციელებულ პროექტებზე. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია,შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სკოლა საჭიროების შემთხვევაში მიმართავს რემედიაციას, ასევე ქმნის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისთვის.

	სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება თანმიმდევრულად, შედეგებზე ორიენტირებული მიდგომით და უზრუნველყოფს სწავლების ლოგიკურ, მიზნობრივ და სისტემურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დეგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. გაკვეთილების თემატური დაგეგმვა შეესაბამება წლიური მიზნებისა და სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივშორისი კავშირების გაღრმავება (ფიზიკასთან, ხელოვნებასთან,...), პროექტზე დაფუძნებული სწავლება და შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უნარების განვითარებას რეალურ კონტექსტში. ეს მიდგომები აძლიერებს სწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას და ემსახურება ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სწავლის შედეგების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის სასურველია სასწავლო წლის ან თემატური ბლოკების დაწყებამდე გამოყენებული იქნეს სადიაგნოსტიკო ტესტირება/დავალება, რომელიც ასახავს წინა წლის ან ეტაპის ძირითადი ცნებების ცოდნას. ეს პროცესი დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე

	- მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. სკოლა აქტიურად ასპარეზობს სხვადასხვა შეჯიბრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ სწავლების დაგეგმვისას ხდება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მათი ჩართულობისა და აკადემიური პროგრესის გაუმჯობესებას. ის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აკვრდებიან დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ცვლილებების დანერგვას. შემხვედრი საჭიროებები იდენტიფიცირდება: მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზის საფუძველზე; მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინებით; მასწავლებელთა პროფესიული დაკვირვებების შედეგად. მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს დამატებით საკონსულტაციო საათებს, დიფერენცირებულ დავალებებს, საგანმანათლებლო რესურსების განახლებას ან პროფესიული განვითარების აქტივობებს. აქტიურად მუშაობენ სპეც.მასწავლებლები, რომელთაც ისგ-ის მიხედვით შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივოებები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა, სწავლების

აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის მოდიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას და დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველებას არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ვალუდური რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები. შესაბამისად ვერ დგინდება **შეფასების სისტემა არის თუ არა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.** **ხარვეზი: სამივე საფეხურზე საბუნებიმეტყველო მეცნიერებების კათედრას და დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველებას არ აქვს წარმოდგენილი ვალიდური** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები. შესაბამისად ვერ დგინდება **შეფასების სისტემა არის თუ არა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.** **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ვალუდური რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები. შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და დააკმაყოფილი შესაბამისი მოთხოვნა.** **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, როგორიცაა პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის და სხვა აქტივობების შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების მრავალმხრივ შეფასებას და ხელს უწყობს მათი პროგრესის სისტემურ მონიტორინგს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და აძლიერებს მათ პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის მიმართ. ამასთან, გამოყენებული მრავალფეროვანი რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ისეთი უნარები,

	როგორიცაა თანამშრომლობა, კრიტიკული აზროვნება, არგუმენტაცია და პრეზენტაციის უნარი, რაც შეფასების პროცესს კიდევ უფრო ყოვლისმომცველს და მიზნობრივს ხდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სკოლაში ფასდება როგორც საკლასო და საშინაო დავალებები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით ასევე ხდება შემაჯამებელი სამუშაოების შეფასებები. უცხოური ენების მიმართულებით წარმოდგენილია კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარების შეფასების კრიტერიუმები, რაც ადასტურებს, რომ შეფასება მიემართება კონკრეტულ სწავლის შედეგებს და ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნი დოკუმენტაციაში, სადაც არის წარმოდგენილი ორივე საგნის **დაწყებითი** და **საბაზო** საფეხურის ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი,ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. **საშუალო** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და სადიაგნოსტიკო შფასებების საფუძველზე შეიძლება ითქვას,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭირვალე,სანდო და ობიექტური. **დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, ასევე მიმართავენ თვითშეფასებასაც, რაც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული რუბრიკებისა და სტანდარტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლის პროგრესის ანალიზისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებით მასწავლებლები გეგმავენ სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და პროგრესის კონტროლს. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტებზე და კრიტერიუმებზე, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა — რას, როდის და როგორ აფასებენ, რაც ზრდის მათი პასუხისმგებლობის განცდას და მოტივაციას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასურველია, რომ სასწავლო წლის ან სემესტრის დაგეგმვისას მასწავლებლებმა წინასწარ შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ იქნება მიბმული სასკოლო კურიკულუმში გაწერილ თემებზე. რეკომენდებულია, რომ ეს რუბრიკები შეესაბამებოდეს უახლესი ვერსიის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, საგნობრივ სტანდარტს, შეიცავდეს კონკრეტულ ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. სკოლა აქტიურად ასპარეზობს სხვადასხვა შეჯიბრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. იგი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძვნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალეობას; დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. თითოეული საფეხურის კურიკულუმში მოცემულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა (სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;

სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმი; სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი), ხოლო რამდენად ობიექტურად და გამჭვირვალედ ფასდებიან მოსწავლეები, რამდენად ვალიდურია შეფასების ინსტრუმენტები კათედრები, კათედრის თავჯდომარეები აქტიურად განიხილავენ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმს და ადგენენ ვერიფიკაციის ფაქტორებს, ინსტრუმენტებს, კრიტერიუმებს და იმას თუ კონკრეტულ წელს, რომელ კლასში და საგანში განხორციელდება ვერიფიკაცია, ვინ იქნება ვერიფიკატორი, ამას ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმებიც.(სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1 8/09/2025წ, სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი N2 30.12.25). ასევე სკოლას აქვს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რითაც უზრუნველყობს სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, სწორედ მუხლი 4. მოიცავს

მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ვალიდურობას. (სსიპ - ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი).**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: ცალკეული კათედრები რადგან ამუშავებენ ვერიფიკაციის საკითხებს, სკოლას აქვს სხვადასხვა დოკუმენტშიც გაბნეული შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობასთან დაკავშირებით საკითხები, კარგი იქნება სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის სახით.

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში მოქმედებს მონაცემთა მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დაცვასა და შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით (არანაკლებ 3 წელი). ინფორმაცია ინახება როგორც ელექტრონულ (ელექტრონული ჟურნალი, ციფრული არქივი), ასევე ბეჭდურ ფორმატში. დაცულია კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები. ასევე კათედრის სხდომის ოქმებშიც ნახსენებია, რომ სკოლა მტკიცებულებებს ვერიფიკაციის წესის თანახმად, ინახავს სამი წელი (სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1 8/09/2025წ, სსიპ ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი N2 30.12.25). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სსიპ - ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრის სხდომის ოქმი №1 8/09/2025;
- სსიპ- ქ. თბილისის N 217 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელი ოქმი N2 30.12.25;.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- ინტერვიუ პედაგოგებთან;
- საფეხურის კურიკულუმები;

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- "სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლის შეფასების მიმართულებით" -2023- განათლების ხარისხი ეროვნული ცენტრი;
- ეროვნულ სასწავლო გეგმიდან ამოღებული ამონარიდი განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაზე;
- *მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტის ნიმუშები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ დამატებით რესურსებს: ელექტრულ კომპონენტებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმით ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. თუმცა, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან დამატებით რესურსებს, როგორიცაა თემატური რუკები, ილუსტრაციები, ვიდეომასალები, პრეზენტაციები, ინტერნეტრესურსები და სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული თუ შემოქმედებითი დავალებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ჩართულობას, ინტერესსა და სასწავლო მოტივაციას.ამასთან ერთად, სასწავლო პროცესში აქტიურად მიმდინარეობს პროექტული სწავლების გამოყენება, რაც გულისხმობს

	მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა თემატური პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებას, გუნდურ მუშაობას, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ კონტექსტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც ემსახურება სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. აღნიშნული ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ სკოლა სასწავლო პროცესში რეალურად იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული სამივე საფეხურზე ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრუნული რესურსებიც, აუდიო და ვიდეო მასალებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ტელესკოლის რესურსს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს, რაც ასახულია კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სწავლების მეთოდურ მრავალფეროვნებას. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსი: სამუშაო ფურცლები, ვიზუალური მასალები, ვიდეო რესურსი და სხვა. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გადატანაში, კრიტიკული და რაოდენობრივი მსჯელობის განვითარებაში და მათემატიკური ცნებების ფუნქციურად გააზრებაში. **თ**უმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოყენების პრაქტიკა სკოლაში თვალსაჩინოა, ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ აისახება წერილობით კურიკულუმში, რაც აფერხებს დაგეგმვის პროცესში რესურსების სისტემურად დანახვას. **რჩევა:** (საბაზო, საშუალო) სასურველია, რომ მათემატიკის IX და X კლასების კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, რაც გაუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და გააჩენს რესურსების გააზრებულად შერჩევის კულტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში. რესურსად ძირითადად გამოიყენება school.emis.ge პლატფორმა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე სისტემურ და ცენტრალიზებულ წვდომას. **რეკომენდირებულია** ციფრული რესურსების მეტად გამოყენება, მაგალითად დამატებითი საგანმანათლებლო პლატფორმების (მაგ. Code.org, Canva, Thinkercad და სხვა ინტერაქტიული რესურსები) ჩართვა, რაც გაამდიდრებს სწავლა-სწავლების პროცესს, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი ციფრული და კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებულია ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები. ხდება ეფექტური სასწავლო რესურსების კურიკულუმებში ასახვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია, რაც გულისხმობს მათი შინაარსობრივი შესაბამისობის, სანდოობისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან თანხვედრის შეფასებას.პედაგოგებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს, რომ აღნიშნული პროცესი ხორციელდება კათედრის წევრთა თანამშრომლობით და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების ხარისხისა და მიზნობრიობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ დამატებითი მასალები შეესაბამებოდეს საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.ასევე, სკოლაში სწავლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე მოსწავლეები და მათი საჭიროებების გათვალისწინებით კათედრაზე ხდება სასწავლო რესურსების ადაპტაცია და დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა,რაც ხელს უწყობს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	რესურსები კათედრაზე ფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. არსებული დამხმარე სასწავლო რესურსები შეთანხმებულია შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმების მოთხოვნებთან. რესურსების შერჩევის პროცესში ჩართულები არიან საგნის პედაგოგები; რესურსების გამოყენებამდე კი ისინი დეტალურად განიხილება და თანხმდება სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი** I-IVკლასების,**საბაზო და საშუალო** საფეხურის (მუსიკა და ხელოვნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. **დადგინდეს ინდიკატრტან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში/კათედრაზე ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრა, რომელიც შეხვედრების ფარგლებში განიხილავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხებს. კერძოდ, მათემატიკის კათედრის სხდომის N1 ოქმი (12.09.2025) ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში განხილული იქნა თემა: „საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა;". სხდომის ფარგლებში კათედრის წევრებმა განიხილეს ძირითადი და დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათი ფუნქციურობა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას — ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რესურსების შერჩევა ემყარება პროფესიულ მსჯელობას, საგნობრივ და ასაკის შესაბამისობას და არა შემთხვევითობას. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო საშუალო) მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ სასწავლო წლის დასაწყებად საჭირო აქტივობები, როგორიცა სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, კურიკულუმების განხილვა-დამტკიცება და სხვა აუცილებელი ქმედებები განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ვინაიდან ტექნოლოგიური რესურსები სწრაფად იცვლება და ზოგიერთი ლინკი აღარ იყო აქტიური სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპზე (არა მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში) მოხდეს მათი გადახედვა ან დამატება, საჭიროებისამებრ. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა სასწავლო რესურსი, რომელიც ასევე საგნის კურიკულუმებშიც იკითხება

	(ვიდეო მასალები, სხვადასხვა ელექტრონული რესურსები, აქტიური ლინკები და სხვა) წინასწარ, სასწავლო წლის დასაწყისშივე იყოს შერჩეული და დამტკიცებული კათედრის სხდომაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რაც გულისხმობს გამოყენებული მასალების შესაბამისობას, აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები იყოს ეფექტური და მიზანშეწონილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დამხმარე სასწავლო რესურსები - სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, პლაკატები, მულაჟები, ონლაინ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, სასწავლო ვიდეორგოლები, სიმულაციები. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან არ აქვს მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე. არ არის წყალგაყვანილობა. ასევე ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, რაც ასევე აუცილებელია საბუნებისმეტყველო აქტივობების შესასრულებლად საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ხარვეზი: საბაზო და საშუალო საფეხურზე: სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდა, გამწოვი კარადა და წყალგაყვანილობა.** **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდის, გამწოვი კარადის და წყალგაყვანილობის მოწყობას, არაუგვიანეს 31.08.2026წ.** **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყველა საგანში შექმნილი დამატებითი რესურსები, სახელმძღვანელოს გარდა, ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. ეს რესურსები მოიცავს სხვადასხვა დამხმარე მასალას, როგორიცაა თემატური რუკები, ილუსტრაციები და სხვა ვიზუალური რესურსები, რომლებიც გამოიყენება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე დამოუკიდებელი მუშაობისას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესის მხარდაჭერას.აღნიშნული ხელმისაწვდომობა ხელს

	უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის განმტკიცებას და სასწავლო მასალის უკეთ გააზრებას, რაც დადებითად აისახება კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლა იყენებს ციფრულ და მატერიალურ დამატებით რესურსს, რაც დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით თვითოეულ საგანში. (კურიკულუმებში, შემოქმედებით დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, ოთახები სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია პრაქტიკული აქტივობების ჩატარება მუსიკასა და ხელოვნებაში, მასწავლებლები სამივე საფეხურის გაკვეთილებზე იყენებენ ვიდეო რესურსებს,მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება შესაბამისობა ინდიკატორთან.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, მოძრავი პროექტორი, სივრცული ფიგურები, სხვადასხვა თემატური პლაკატები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. სკოლას აქვს წარმოდგენილი „ლაბორატორიით

	სარგებლობის წესი“, “ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი”. შესაბამისად, სკოლის ყველა მოსწავლეს, წინასწარ განსაზღვრული წესით, აქვს წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და სასკოლო ბიბლიოთეკაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა სურთები სადაც ჩანს: სკოლის დარბაზი , გარე მოედანი , ბურთები , მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა . მოსწავლეები აღჭურვილნი არიან შესაბამისი სპორტული ფორმებით. კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები არის კათედრის სხდომაზე შეთანხმებული, რესურსი არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ტექნოლოგიების სწავლების პროცესში სკოლა იყენებს როგორც მატერიალურ, ისე ციფრულ რესურსებს. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, ინტერნეტრესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმები და სხვადასხვა ციფრული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ პრაქტიკულ და პროექტულ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების განვითარებას. სკოლაში არსებული რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში არსებული დასაქმებულთა პირადი საქმეები ცხადყობს, რომ სკოლას ჰყავს კანონმდემლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, კერძოდ, დასაქმებულია 39 მასწავლებელი (ამათგან 1 მენტორი, 7 წამყვანი, 30 უფროსი და 1 მოწვეული მასწავლებელი). პედაგოგებს აქვთ შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციები, შეიმუშავონ, დაგეგმონ, განახორციელონ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესი და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავება -განხორციელებისას, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ეწევიან სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო მხარდაჭერასა და რესურსების მიზნობრივად გამოყენებას. ასევე სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და კურიკულუმის მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დასაქმებულთა პირადი საქმე,
- E-school-ის ბაზა.
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილები (საზოგადოებრივი მეცნიერებები, მათემატიკა)
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და მათი ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სპორტული ინვენტარის ფოტომასალა;
- კათედრების ანგარიშები;

- კათედრის ოქმები;
- პედაგოგთა ანგარიშები;
- სსიპ ქ. თბილისის 217 საჯარო სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს. მონიტორინგის და შეფასების პროცესი დანერგვის ამ ეტაპების განუყოფელი ნაწილია. კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები: მასწავლებელი, კათედრის თავჯდომარე და დირექტორის მოადგილე, რომლებიც ამავე მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებენ კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, კერძოდ

მოსწავლეთა მიღწევებსა და განვითარებას, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, გამოკვეთავენ პრობლემებს და მათ გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. ამას ემატება ის, რომ კათედრის წევრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს, აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირის და რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ მოიცავს პრობლემების გამოკვეთას, გადაჭრის გზებისა და საშუალებების ძიებას. კურიკულუმის შემუშავება და განვითარება მუდმივი პროცესია, რომელიც ეფუძნება წინა წლის მონაცემების ანალიზს, კერძოდ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, საადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და მასწავლებლების ჩანიშვნები, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, პედაგოგთა ანგარიშები, კათედრების ანგარიშები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება, ხდება აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება, ხოლო ინტერვენციების ასახვა კი - მომდევნო წლის საგნობრივ კურიკულუმში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ამას ადასტურებს მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან ინტერვიუები. სკოლა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას იყენებს იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა მოახდინოს. მოგროვილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, აღმოჩენილი გამოწვევევების ეფექტური გადაჭრის გზით, სკოლა ცდილობს თითოეული მოსწავლის საჭიროებბეის გათვალისწინებას და ინტერვენციების ასახვას მომავალი წლის სასწავლო პროგრამებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   მოსწავლეთა შეფასებას აქვს ჰოლისტური ხასიათი, კერძოდ თითოეული კათედრა მოსწავლეთა აკადემიური თუ ფსიქო- ემოციური, მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით იყენებს შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, აქტიურად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდებს. ამას ცხადყოფს, როგორც კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა. მაგალითად სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსწავლეთა ტესტირებით ან ქულობრივი შეფასებით, არამედ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და კომპეტენციების ობიექტურ და სრულფასოვან შეფასებას. მაგ.: იყენებენ შემოქმედებით დავალებებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო წერებს, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობებს/დავალებებს, ჯგუფურ მუშაობას, სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებებს თუ წერით ნამუშევრებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებში მონაწილეობს და სხვა. მრავალწყაროიანი მიდგომა ამცირებს სუბიექტურობის რისკს და ქმნის მოსწავლის განვითარების უფრო ფართო სპექტრს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   სკოლა შეფასებას ახორციელებს საგნობრივი სპეციფიკის, ასაკობრივ თავისებურებებსა და სასწავლო მიზნების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მის რელევანტურობასა და სამართლიანობას. მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რომელიც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა არაფორმალური გარემო (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სკოლა, კლასი, სოციუმი, მოსწავლეთა ინდივიდუალური თუ სოციო-კულტურული გარემო ფაქტორები. სკოლას ჰყავს იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, რომელთა სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, რომლებიც მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით არის შემუშავებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტი შეფასების საგანმანათლებლო პროექტებია, რომელსაც სკოლა ახორციელებს სამივე საფეხურზე საგნობრივი თუ სახელოვნებო მიმართულებით, მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად, სადაც ეძლევათ საშუალება ცოდნა და უნარი წარმოჩინონ სხვადასხვა საშუალებებით. მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასება ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალმხრივ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს შედეგების სანდოობასა და ანალიზის სიღრმეს. მაგ. წერითი და ზეპირი ფორმები; დაკვირვება და ანალიზი; თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება; რუბრიკებზე დაფუძნებული შეფასება, შემოქმედებითი ტიპის დავალებები (დღიურები, პოსტერები, კომიქსები, და სხვა). შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ცოდნა, ისე უნარები, დამოკიდებულებები და კომპეტენციები, რაც მაგალითად სხვადასხვა საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებიდანაც ჩანს:

სახელმწიფო ენა

X კლასი : არგუმენტირებული ესე - თემა: მშობლიური სამყარო; ლიტერატურული თხზულება - თემა : პიროვნული არჩევანი.

Vკლასი : წარმოსახვითი წერილი -თემა მარკ ტვენის "ტომ სოიერის თავგადასავალი"

საქართველოს ისტორია

X კლასი : საგაზეთო სტატიის შექმნა -თემა საქართველო ანტიკურ ხანაში

მსოფლიო ისტორია

XI კლასი: ინტერვიუს მომზადება -XVIII საუკუნის 80 -იან და XIX საუკუნის 30-იან წლებში საფრანგეთში განვითარებული ისტორიული პროცესების შესახებ - თემა: ხანგრძლივი მეცხრამეტე საუკუნე.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

IX კლასი: ანტიკური და ბერძნული ქანდაკების შედარებითი ანალიზი, სურათის ჩარჩოს შექმნა ბაროკოს სტილში - თემა : გარემო და ხელოვნება.

მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა და სკოლა ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის სოციუმი, ოჯახი, ინდივიდუალურ შესაძლებლობები, პროგრესი, ჩართულობა, დავალების სირთულე და სასწავლო გარემოს თავისებურებები. კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულები თითოეული მოსწავლის საჭიროებების გამოკვეთასა და რეკომენდაციების შემუშავებაში, რაც გამოჩნდა როგორც მშობლებთან, ისე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს სსსმ მოსწავლეების თუ არაქართულენოვანი(აზერი) მოსწავლეების მაგალითებზე საუბრისას. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მასწავლებელბი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, ადგენენ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მათ შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი;
- წლიური სასწავლო გეგმა;
- პროექტები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   კურიკულუმის განვითარების პროცესი უწყვეტია და სკოლა ვალდებულია, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს დანერგვის პროცესის შესახებ, რის საფუძველზეც სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. მასწავლებლები, დირექციიის, ხარისხის განვითრების ჯგუფი და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული რეკომენდაციები ეხება სწავლა-სწავლების მეთოდების დახვეწის, შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების, რესურსების განახლების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით. ის ეფუძნება ანალიტიკურ მონაცემებს და ემსახურება კურიკულუმის ხარისხის ამაღლებას, მისი პრაქტიკული განხორციელების ეფექტიანობასა და შედეგებზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   პროცესი მოიცავს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული მონაცემების, აკადემიური შედეგების, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის და შიდა შეფასების ანალიზს. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; გადამუშავებული ვერსია ასახავს როგორც წარმატებულ პრაქტიკებს, ისე გამოვლენილი გამოწვევების საპასუხო ცვლილებებს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მიზნების, შინაარსის, მეთოდოლოგიის ან შეფასების კომპონენტების კორექტირება, რათა კურიკულუმი მეტად პასუხობდეს სკოლის კონტექსტს და მოსწავლეთა საჭიროებებს. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქ. თბილისის 217-ე საჯარო სკოლის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;

- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის კათედრების ხელმძღვანელების ანგარიშები;
- სსიპ ქ. თბილისის N217-ე საჯარო სკოლის მასწავლებელთა ანგარიშები.
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N 217 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მექანიზმი;˜
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 12.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ლელა ჯაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: